საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აგარანი

აგარანი, ციხესიმაგრე ქვემო ქართლში, აგარანზე გამავალ დიდ საქარავნო გზაზე.

ისტ. წყაროებში ხშირად „აგარათა ციხედაც“ მოიხსენიება, იცავდა საქართველოში სამხრ-იდან მომავალ მთავარ გზას. XI ს. 60-იან წლებში ბაგრატ IV-მ ა. წაართვა განძის ამირა ფადლონს. „დიდი თურქობის“ დროს (1080) ციხე მტერმა ჩაიგდო ხელში. 1118 ივლისში დავით აღმაშენებელმა ალყა შემოარტყა ა-ს და ერთ დღეში აიღო, ხოლო 1123 ივანე ორბელს უწყალობა. 1177 ა-ში გამაგრდნენ გიორგი III-ის წინააღმდეგ აჯანყებული დიდგვარიანები. ამავე წელს მეფემ ა. აიღო. „აგარათა ციხე“ ქართველ მეფეთა საზაფხულო სადგომი იყო. აქ გარდაიცვალა თამარ მეფე. XV ს-იდან მას კოჟრის ციხე ეწოდებოდა და სოლაღაშვილებს ეკუთვნოდა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ამ ციხეს ადრე აზეულას ციხე ერქვა.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი), წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1964.

დ. ბერძენიშვილი